



დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტოს

სერვისებისა და პროგრამების შესრულების
ანგარიში

2021 წელი

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო შეიქმნა 2019 წლის 31 ოქტომბერს და ფუნქციონირებს 2020 წლის პირველი იანვრიდან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიზანია მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა.

სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს:

- სამუშაო მაძიებელთა კონსულტირება მათი კარიერული განვითარებისა და სამუშაო ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციის მიზნით;
- საშუამავლო საქმიანობა დამსაქმებლებისა და სამუშაო მაძიებლების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით;
- ცირკულარული შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების იმპლემენტაცია;

სააგენტო შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს შემდეგი პროგრამების მეშვეობით:

- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი კურსები;
- სტაჟირება;
- ხელფასის/დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირება;
- საკვანძო კომპეტენციების ტრენინგი;
- დასაქმების ფორუმები.

სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან: ევროკავშირი და ტექნიკური დახმარების პროექტი GOPA, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია GIZ და ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES).

ახლად შექმნილი სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სააგენტოს სწრაფი ინსტიტუციური განვითარება, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების გაუმჯობესება.

2. ინსტიტუციური განვითარება

2.1. ადამიანური რესურსის მოპოვება და საკადრო რესურსების განვითარება

2020 წლის თებერვლის თვიდან დაიწყო მუშაობა სააგენტოს ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით და დააკომპლექტა ადმინისტრაციული, შრომითი მიგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტები, ასევე სააგენტოს რეგიონული ცენტრები (წარმომადგენლები, დასაქმების, კარიერის დაგეგმვისა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები) თბილისის ხუთ რაიონულ ცენტრსა და 7 რეგიონულ ცენტრებში.

დღის მდგომარეობით სააგენტოში აყვანილია 40 შტატით განსაზღვრული პირი და 46 შტატგარეშე თანამშრომელი, რომლებიც ახორციელებენ დასაქმების სერვისების მიწოდებას აღნიშნული პროგრამების ფარგლებში.

2.2. საკადრო რესურსების განვითარება

2021 წელს სააგენტომ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელა სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ:

- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ ტრენინგში, დამსაქმებლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების უფლებასთან დაკავშირებით;
- პროექტის „ESCape - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ ფარგლებში ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი. ტრენინგის მიზანი იყო დასაქმების ხელშეწყობის ახალი სერვისის მოდელის განხორციელების ეტაპების შეფასება. სააგენტოსა და სამოქალაქო სექტორის ასევე დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული უნარების განვითარებისთვის“ - ფარგლებში, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებისთვის გაიმართა ტრენინგები ახალი სერვისის მოდელის, მედიაცია და აქტიური შრომის ბაზრის ზომები (ALMP) და შრომის ბაზრის აქტიური პროგრამების შემუშავების საკითხებზე. მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებს ჩაუტარდათ შესავალი ტრენინგი.
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ისწავლე დასაქმებისთვის!“ - ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის, კარიერული კონსულტაციისა და დასაქმების რეგიონული ცენტრებისა და აჭარის დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელთათვის გაიმართა ტრენინგ-კურსი თემაზე „კარიერის დაგეგმვა და მართვა“.

2.3. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების განვითარება

- ✓ სააგენტომ ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის GIZ-ის ექსპერტების ჩართულობით განაახლა ახალი სერვისის მოდელი და შეიმუშავა დამსაქმებლებთან მუშაობის მოკლე სახელმძღვანელო.
- ✓ პროექტი „ESCape - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“

სააგენტო ფრიდრიხ ებერტის ფონდთან (FES), დემოკრატიის განვითარების სააგენტოსთან (DDA) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „ESCape - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“.

პროექტის მიზანია აჭარის, იმერეთის, კახეთის, ქვემო-ქართლის, სამეგრელოს, შიდა-ქართლის რეგიონებში და ასევე თბილისში დასაქმების და შრომისუნარიანობის ხელშეწყობა, შემდეგი მექანიზმებით:

- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (SESA) მიერ დასაქმების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა სამსახურით და კარიერული კონსულტირებით უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის უნარ – ჩვევების განვითარება და ძირეული კომპეტენციების გაუმჯობესება, ინტენსიური კონსულტირების ახალი მოდელის დანერგვით და ”რთულად დასასაქმებელი” პირებისათვის ძირითადი კომპეტენციების შესწავლა.

3. ანტიკრიზისული სამთავრობო პროგრამის განხორციელება

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისი N286 დადგენილების თანახმად, დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად.

შედეგად, სააგენტო ჩაერთო პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემის ადმინისტრირების პროცესში. კერძოდ, სააგენტოს დაევა კომპენსაციების გაცემა იმ დაქირავებით დასაქმებულებისთვის და ფორმალური და არაფორმალური თვითდასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან/და შემოსავალი პანდემიის შედეგად.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა თვეში 200 ლარით, 6 თვის განმავლობაში, ხოლო თვითდასაქმებულებისთვის - ერთჯერადი კომპენსაცია 300 ლარის ოდენობით.

არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა აღნიშნული კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. სააგენტოს ყველა თანამშრომელი, 2020 წლის მაისი-აგვისტოს თვეებში, ჩართული იყო თვითდასაქმებულთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების დამუშავებისა და ერთჯერადი კომპენსაციების გადარიცხვის ადმინისტრირების პროცესში. განცხადებების მიღება და დამუშავება ხორციელდებოდა ელექტრონულად, სპეციალურად შექმნილი სარეგისტრაციო პორტალის საშუალებით. სულ, სამუშაო ჯგუფის მიერ ამ პერიოდში განხილულ იქნა **124 348** განაცხადი.

პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად.

სტატისტიკური მონაცემები:

| 2020-2021 წელს 200 ლარიანი 6 თვიანი კომპენსაცია მიიღო | | |
|---|-------------|-------------|
| 200 ლარიანი (6 თვე) კომპენსაცია მიიღო | ბენეფიციარი | კომპენსაცია |
| I ეტაპის მიკუთვნებულმა ბენეფიციარებმა (2020 წელი მაისი) | 163 421 | 131 743 700 |
| II ეტაპის მიკუთვნებულმა ბენეფიციარებმა (2021 წელი იანვრი) | 158 523 | 148 689 000 |

ჯამში გადაირიცხა (200 ლარიანი კომპენსაცია) -280 432 700 ლარი.

| |
|--|
| 2020-2021 წელს 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაცია მიიღო |
|--|

| 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაცია მიიღო | ბენეფიციარი | კომპენსაცია |
|--|-------------|-------------|
| I ეტაპის მიკუთვნებულმა ბენეფიციარებმა (2020 წელი მაისი-ივლისი) | 249 121 | 74 736 200 |
| II ეტაპი მიკუთვნებულმა ბენეფიციარებმა(2020 წელი დეკემბერი) | 122 023 | 36 606 900 |

ჯამში გადაირიცხა (300 ლარიანი კომპენსაცია) - 111 343 100 ლარი.

4. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 05 01).

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამუშაოს მაძიებლებს აწვდის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ისეთ მომსახურებებს, როგორცაა სამუშაოს მაძიებლის კონსულტირება და დაკავშირება დამსაქმებელთან, კონსულტირება კარიერული განვითარების მიზნით და მხარდაჭრითი დასაქმება. მხარდაჭრითი დასაქმების მომსახურება განკუთვნილია შშმ და სსმ პირებისთვის, ვისაც აქვს სურვილი და მოტივაცია დასაქმდეს. სერვისი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომას სამუშაოს მაძიებლისადმი, ასევე აქტიურ კომუნიკაციას დამსაქმებლებთან შშმ/სსმ პირების დასაქმების კუთხით შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

4.1. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება;

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარების მიზნით, სააგენტოს დაწყებული აქვს მუშაობა პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ამ ეტაპზე სააგენტომ, გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის დაფინანსებითა და მოწვეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, შექმნა შრომის ბაზრის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალება, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ახალი Worknet-ის შექმნა, რომელიც თავის მხრივ სრულად დააკმაყოფილებს სააგენტოს საჭიროებებს და უპასუხებს მონაცემთა მართვის, დაცვისა და კიბერუსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებს.

ყოველწლიურად მიმდინარეობს www.worknet.gov.ge-დან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება და ანგარიშის დამუშავება. 2021 წლის მდგომარეობით მდგომარეობით, სულ სისტემაში დარეგისტრირებულია **350 009** სამუშაოს მაძიებელი.

2021 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა **8 994** სამუშაოს მაძიებელმა მათ შორის ქალი - **5154**, შშმ პირი - **278**.

რეგისტრირებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

| | |
|---------|------|
| თბილისი | 2099 |
| აჭარა | 501 |

| | |
|------------------------|------|
| გურია | 250 |
| იმერეთი | 2076 |
| კახეთი | 719 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 788 |
| სამცხე ჯავახეთი | 583 |
| ქვემო ქართლი | 736 |
| შიდა ქართლი | 746 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 130 |
| მცხეთა მთიანეთი | 325 |
| სხვა (უმისამართო) | 41 |
| სულ | 8994 |

2021 წელს **875** დამსაქმებელმა დაარეგისტრირა **11 414** თავისუფალი სამუშაო ადგილი.

4.2. შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე
-ეს არის პროცესი, რომელიც ხორციელდება დასაქმების კონსულტანტისა და სამუშაოს მაძიებლის პირისპირ შეხვედრის ფორმატში და მიზნად ისახავს დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით პროფესულ განვითარებას.

„შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, სააგენტოს რეგიონულ ცენტრებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტირებები. შედეგად, ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა **2 584** სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის, ქალი - **1633**, შშმ პირი - **198**.

კონსულტირებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

| | |
|------------------------|-----|
| თბილისი | 771 |
| აკარა | 85 |
| გურია | 136 |
| იმერეთი | 544 |
| კახეთი | 148 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 263 |
| სამცხე ჯავახეთი | 14 |
| ქვემო ქართლი | 238 |
| შიდა ქართლი | 344 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 21 |
| მცხეთა მთიანეთი | 20 |

კონსულტირებული პირებიდან **155** პირს (მათ შორის **103** ქალი) შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით უფიქსირდება ხელფასი იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის.

რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტირებას, აღნიშნული აქტივობა დაგეგმილი იყო პირველი კვარტლის ბოლოს, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის №01-73/ო ბრძანების თანახმად, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, გაუქმდა სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში დანიშნული ყველა მასობრივი და საჯარო ღონისძიება.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სააგენტომ დაიწყო დისტანციური კომუნიკაცია სამუშაოს მაძიებლებთან. სააგენტოს კონსულტანტებმა განახორციელეს სატელეფონო კონსულტირება იმ პირებთან, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და სახელმწიფოსგან იღებდა კომპენსაციას 200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში. სატელეფონო კონსულტირების დროს, მათ მიიღეს შეთავაზება სააგენტოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. საერთო ჯამში, სააგენტოს კონსულტანტები დაუკავშირდნენ 10000-ზე მეტ პირს, (ზოგ შემთხვევაში, განმეორებით) საიდანაც 1798 პირმა თანხმობა განაცხადა სააგენტოს სერვისების მიღებაზე და ისარგებლეს საკონსულტაციო მომსახურებით.

პარალელურად, იმ პირებს, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და რომლებიც რეგისტრირებულები იყვნენ სამუშაოს მაძიებლად (საშუალოდ 39000-ზე მეტი პირი), ინფორმაცია ეგზავნებოდათ არსებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამების და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. მათი მონაცემების სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2021 წლის მდგომარეობით, დასაქმებული გახლდათ **9099** პირი, მათ შორის **966** პირი დასაქმებული იყო იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის.

4.3 საშუამავლო მომსახურების გაწევა/ განვითარება -ღონისძიების მიზანია თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისა და სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მიზნით, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტური კავშირი და/ან ასეთი კავშირის ხელშეწყობა.

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ **11 414** თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. მათ შორის ზემოთ აღნიშნულ 39 000-ზე მეტ პირს, რომლებიც იყვნენ დაქირავებით დასაქმებულები და პანდემიის შედეგად დაკარგეს სამსახური ან/და შემოსავალი.

ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა **2 997** სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის ქალი - **1467**.

ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

| | |
|------------------------|------|
| თბილისი | 1195 |
| აჭარა | 145 |
| გურია | 85 |
| იმერეთი | 696 |
| კახეთი | 268 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 97 |
| სამცხე ჯავახეთი | 54 |
| ქვემო ქართლი | 145 |
| შიდა ქართლი | 247 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 24 |
| მცხეთა მთიანეთი | 41 |
| სულ | 2997 |

საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დამსაქმებელთან გაგზავნილი ბენეფიციარების დასაქმების შესახებ მონაცემების დადგენის მიზნით, ინფორმაციის გამოთხოვა მიმდინარეობს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან. დღეის მდგომარეობით დასაქმებულია **785** სამუშაოს მაძიებელი. (მათ შორის **400** ქალი)

4.4 მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა - ღონისძიების მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა.

სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა, საქართველოს მასშტაბით, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირება გაუწიეს **220** შპს პირს, მათ შორის, ქალი - **95**.

ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

| | |
|------------------------|-----|
| თბილისი | 81 |
| აჭარა | 19 |
| გურია | 2 |
| იმერეთი | 65 |
| კახეთი | 24 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 12 |
| ქვემო ქართლი | 9 |
| შიდა ქართლი | 8 |
| სულ | 220 |

დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 54 ვაკანსია. მიმდინარე წელს, საშუაშვლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 38 შშმ პირი. (მათ შორის 19 ქალი) (ქ.თბილისი -17, აჭარა 5, იმერეთი 8, კახეთი 5, სამეგრელო -1, შიდა ქართლი 1 და ქვემო ქართლი 1).

ასევე, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 3 დამსაქმებელი და 8 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, ქალი 2, შშმ პირი 8 (თბილისი - 6, შიდა ქართლი 1 და კახეთი - 1). კომპონენტის ფარგლებში დასაქმებულია 5 შშმ პირი.

2021 წელს პროგრამას დაემატა ახალი აქტივობა დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტი - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის N451 დადგენილების თანახმად, სააგენტომ დაიწყო მუშაობა დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის განხორციელებისათვის. პროგრამის ეფექტური განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით შეიქმნა კომისია, კომისიის ფარგლებში შემუშავებული იქნა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები და ადაპტირების სტანდარტები.

4.5 დასაქმების ფორუმების მოწყობა - ღონისძიების მიზანია დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება.

შედეგად, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 11 დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 341 დამსაქმებელმა და 2500 ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში, დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 341 (მათ შორი 178 ქალი) სამუშაოს მაძიებელი.

4.6 ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ - აღნიშნული აქტივობის ფარგლებში სააგენტომ შეიმუშავა დამსაქმებლების გამოკითხვისთვის საჭირო კითხვარი და ვაკანსიების მონიტორინგის სახელმძღვანელო, სადაც გათვალისწინებული იქნა ევროკავშირის „Skills for Jobs“ პროექტის ფარგლებში სააგენტოს ტექნიკური დახმარების ჯგუფის წევრების რეკომენდაციები.

შედეგად შრომის ბაზარზე ლოკალურ დონეზე ვაკანსიების მონიტორინგის ფარგლებში რეგიონულმ წარმომადგენლობებმა მთელი საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში აღრიცხულ 1178 ორგანიზაციასთან დაამყარეს კომუნიკაცია, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 238 დამსაქმებელმა. გამოკითხული ორგანიზაციები ზომის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: - მცირე 12,2%, საშუალო 20,6%, მსხვილი 67,2%.

შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ეკონომიკური აქტივობის სამი ძირითადი სფერო - გამოკითხვაში მონაწილე დამსაქმებელთა 36.1% ოპერირებს საბითუმო საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტი დასაწყობება, საკვების მიწოდება/ განთავსების საქმიანობის სფეროში (სექცია - G; H; I), 17,6% წარმოების (სექცია- C), ხოლო 10,9% ხელოვნება, გართობა, დასვენება, სხვა სახის მომსახურება, ექსტერიერული ორგანიზაციების (სექცია - R; S; U).

გამოკითხვაში მონაწილე 191 ორგანიზაციაში ამჟამად/მომავალი 6 თვის განმავლობაში მოსალოდნელი ვაკანსიების ოდენობამ შეადგინა 1962. აქედან 27 ორგანიზაციამ სააგენტოს უკვე მომართა საშუაშვლო მომსახურების მიღების კუთხით და წარმოადგინა მიმდინარე ვაკანსიები. პარალელურად მიმდინარეობს ორგანიზაციებთან დაკავშირება და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შეთავაზება.

ასევე, 2021 წელს განხორციელდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დამსაქმებლების მიერ შემოტანილი ვაკანტურ ადგილების მონიტორინგი. დაფიქსირდა რეგიონების მასშტაბით წარმოდგენილი ვაკანსიების განსხვავებული ოდენობა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში, იმერეთსა და კახეთში. თბილისის მასშტაბით ვაკანტური ადგილების ოდენობაა 6524, იმერეთში 1402, ხოლო კახეთში 697.

გამოკითხულ ორგანიზაციებში დაფიქსირდა დეფიციტური პოზიციები, ასევე დამუშავდა ინფორმაცია დარეგისტრირებული ვაკანსიების და პოზიციების შესახებ და აისახა მოთხოვნად პროფესიების ნუსხაში.

4.7. სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება- ღონისძიების მიზანია მედიის, საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები), ცნობიერების ამაღლება დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ.

2021 წლის 18-19 ივნისს, რეგიონული და ცენტრალური მედიისა და დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები) წარმომადგენელთათვის, სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სექტორის 28 წარმომადგენელმა.

2021 წლის 6 აგვისტოს, კომპანია „აჭარა ჯგუფი“-ს ინიციატივით, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის შედგა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „სოციალური დახმარებების მიმღებთა დასაქმების შესაძლებლობები და არსებული მექანიზმები“.

სააგენტომ დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ მოამზადა საინფორმაციო მასალები ქართულ და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ენებზე, შედეგად დაიბეჭდა 500-500 ერთეული ბუკლეტი და ბროშურა

4.8 სხვა ღონისძიებები:

სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და დამსაქმებელთა ასოციაციებთან, კომპანია „აჭარა ჯგუფი“-ს ინიციატივით და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „სოციალური დახმარებების მიმღებთა დასაქმების შესაძლებლობები და არსებული მექანიზმები“. მათთვის საინტერესო იყო სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების შემთხვევაში, სოციალური დახმარების გაცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და შეღავათების პირობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

ასევე, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც განხორციელდება შრომის ბაზარზე არსებული შრომისუნარიანი მოწყვლად/მიზნობრივ ჯგუფს მიკუთვნებული მოქალაქეებისთვის ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრის ფარგლებში სამუშაოს მაძიებელ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია, დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალურ საკითხებთან მიმართებით არსებული სახელმწიფო სერვისებისა და პირობების შესახებ.

სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ ტრენინგში, დამსაქმებლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების უფლებასთან დაკავშირებით. ტრენინგზე განხილული იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების უფლება, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საკითხები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

სააგენტოს რეგიონული ცენტრების წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო სახის შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ World Vision საქართველოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ორგანიზებით გამართა საინფორმაციო შეხვედრა. ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

2021 წლის ივლისის თვეში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და დასაქმებაზე მორგებული უნარების განვითარებისთვის“- ფარგლებში, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებისთვის გაიმართა ტრენინგები ახალი სერვის მოდელის, მედიაციის და აქტიური შრომის ბაზრის ზომებისა (ALMP) და შრომის ბაზრის აქტიური პროგრამების შემუშავების საკითხებზე. ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი, ბრიტანეთის დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელი, პიტერ ვუდსი.

2021 წლის 24 ივლისს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ისწავლე დასაქმებისთვის!“ - ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის, კარიერული კონსულტაციისა და დასაქმების რეგიონული ცენტრებისა და აჭარის დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელთათვის დაიწყო ტრენინგ-კურსი თემაზე „კარიერის დაგეგმვა და მართვა“. ტრენინგ-კურსის მეორე ეტაპი ჩატარდა სექტემბრის თვეში. ტრენინგებს უძღვებოდნენ ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის (ICDC) ექსპერტები.

სამმხრივი მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტოსა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან გააფორმა, განხორციელდა მსჯავრდებულთა (როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე დაწესებულების გარეთ) პროფესიული კონსულტირება.

5. „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ (პროგრამული კოდი 27 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

5.1. პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე - ღონისძიების მიზანია პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება ქვეყნის მასშტაბით.

სააგენტოს რეგიონულ ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა **1853** სამუშაოს მაძიებელს

ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

| | |
|------------------------|------|
| თბილისი | 526 |
| აკარა | 34 |
| გურია | 83 |
| იმერეთი | 397 |
| კახეთი | 160 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 225 |
| სამცხე ჯავახეთი | 8 |
| ქვემო ქართლი | 142 |
| შიდა ქართლი | 242 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 19 |
| მცხეთა მთიანეთი | 17 |
| სულ | 1853 |

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმის ფარგლებში, აგვისტოს თვეში განხორციელდა ონლაინ შეხვედრები. აღნიშნული პროექტი უპრეცედენტოა და მსჯავრდებულებს (როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე დაწესებულების გარეთ) შესაძლებლობას აძლევს, გაიარონ პროფესიული კონსულტირება, სწორად დაგეგმონ კარიერა, გაეცნონ შრომის ბაზრის ტენდენციებს და დაეუფლონ მოთხოვნად პროფესიებს.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს კარიერის დაგეგმვის კონსულტანტებმა, 2021 წლის 6 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ონლაინ პროფესიული კარიერული კონსულტირება განხორციელეს. ინტერვიუება ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი 30 უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირთან შედგა, ხოლო მეორე ეტაპი - 8 არასრულწლოვანთან.

5.2. მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები- 2-დან 4 თვემდე ხანგრძლივობისა და სწავლების პროგრამა შემუშავებულია, შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი, მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის სწავლა უფასოა.

2020 წელს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების კომპონენტში ჩაერთო 14 მიმწოდებელი და 442 სამუშაოს მაძიებელი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის დისტანციური რეჟიმით განხორციელებისა და ზოგიერთი პროგრამის სპეციფიურობის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი დასრულდა 2021 წლის პირველ კვარტალში.

2021 წელს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების კომპონენტში ჩაერთო 17 მიმწოდებელი და 2080 სამუშაოს მაძიებელი.

2020 წლის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 412 სამუშაოს მაძიებელი.

მონიტორინგის შედეგად 2021 წლის კურსდამთავრებულებიდან დასაქმდა 961 სამუშაოს მაძიებელი.

5.3. პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სტაჟირება - დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით.

სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და იგი არ აღემატება 3 კალენდარულ თვეს. სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლეებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია თვეში 200 ლარის ოდენობით.

სტაჟირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი შერჩევის საფუძველზე უფორმებს შრომით ხელშეკრულებას არა ნაკლებ ერთ სტაჟიორს, არანაკლებ 6 თვის ვადით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2021 წელს 1 დეკემბრის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 24 დამსაქმებელი და 147 სტაჟიორი.

კომპონენტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 79 სამუშაოს მაძიებელი. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტაჟირების კომპონენტში ჩართულ 8 ორგანიზაციასთან სტაჟირების პროცესი სრულდება 2022 წლის დასაწყისში, რის გამოც სტაჟიორთა გარკვეული რაოდენობა, კერძოდ, 67 ბენეფიციარი სტაჟირების პროცესს დაასრულებს 2022 წლის პირველ კვარტალში.

5.4. საკვანძო კომპეტენციების განვითარება - ღონისძიების მიზანი საკვანძო კომპეტენციებში სამუშაოს მაძიებელთა მომზადების მიზანია მათი შესაბამისი უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფა.

დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ, 2021 წელს, პროგრამის ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების სასწავლო პროგრამები განხორციელა შემდეგი მიმართულებებით: პერსონალური და სოციალური კომპეტენცია, ციფრული კომპეტენცია, სამეწარმეო კომპეტენცია და მულტილინგურობის კომპეტენცია (გერმანული, ინგლისური, ფრანგული).

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნა ქვეყანაში არსებული ეპიდემოლოგიური სიტუაცია და კომპეტენციების ყველა მიმართულება განხორციელდა დისტანციური სწავლების ფორმატით.

საკვანძო კომპეტენციების განხორციელების პერიოდში, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა პარტნიორ ორგანიზაციებთან. აგრეთვე, დეტალური ინფორმაცია განთავსებული იქნა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე, გამოქვეყნებული იქნა სტატია საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებზე.

შედეგად, სულ, საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებზე ჩართვის სურვილი გამოთქვა 820 სამუშაოს მაძიებელმა ხოლო ჩაერთო და დაასრულა 727 სამუშაოს მაძიებელმა. ჩართული 727 ბენეფიციარიდან შშმ პირის სტატუსის მქონეა - 44, იძულებით გადაადგილებული პირი - 77, სოციალურად დაუცველი - 222, ქალი - 605, ახალგაზრდა - 376.

კომპონენტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 70 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 61 ქალი).

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა:

2021 წელს დასაქმებულია 3812 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის:

| სულ სერვისების მიხედვით | სულ | ქალი |
|---|------|------|
| საშუამავლო მომსახურება | 785 | 400 |
| მხარდაჭერითი დასაქმება | 38 | 19 |
| სტაჟირება | 79 | 61 |
| მომზადება-გადამზადება | 1373 | 1076 |
| სუბსიდირება | 5 | 0 |
| ფორუმი | 341 | 178 |
| საკვანძო კომპეტენცია | 70 | 61 |
| კონსულტირება (კარიერული დაგეგმვა, ინდ.კონსულტირება) | 1121 | 791 |

დამატებით იხ. სტატისტიკური დიაგრამები დანართNI

6. ცირკულარული შრომითი მიგრაცია (დროებითი ლეგალური დასაქმების სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება)

ცირკულარული შრომითი მიგრაციის სხვადასხვაგვარი განმარტებები არსებობს მიგრაციის მართვის საკითხებისადმი მიძღვნილ სახელმძღვანელოებში და მისი შინაარსი გულისხმობს ქვეყნებს შორის ადამიანების გადაადგილებას, დასაქმების მიზნით, დროებით, განსაზღვრული ვადით, ლეგალურად.

როგორც ცნობილია, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, შექმნის დღიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად განესაზღვრა დროებითი, ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება. აღნიშნული სქემების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში შრომითი მიგრაციის დეპარტამენტის დაკომპლექტება დაიწყო 2021 წლის იანვრიდან. დეპარტამენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის სქემების განხორციელება, რაც საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი, ლეგალური დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ განხორციელდა არაერთი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა დეპარტამენტის უკვე შერჩეულ თანამშრომელთა კომპეტენციების გაძლიერებას და განვითარებას, დაიხვეწა და ჩამოყალიბდა შიდა ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანი მექანიზმები, რომელთა სრულყოფისთვისაც სააგენტოს მენეჯმენტი სამომავლოდაც გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. აეწყო და განვითარდა თანამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ; მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ICMPD და სხვა).

მიუხედავად COVID-19-ის პანდემიისა, მთელს მსოფლიოში შექმნილი გადაადგილების პრობლემებისა და დაწესებული რეგულაციებისა, საქართველოს მხარემ მოახერხა თანამშრომლობა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან მოკლევადიანი დასაქმების მიზნით, ლეგალური მიგრაციის სქემების შექმნის თვალსაზრისით. ამ პროცესში კი, თავისი გამორჩეული როლი ჰქონდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს. რაც შეეხება კონკრეტულ შეთანხმებებს, ამჟამად შრომითი მიგრაციის შესახებ ხელშეკრულება/შეთანხმება გაფორმებული და ძალაში შესული არის 4 პარტნიორ ქვეყანასთან, კერძოდ: ისრაელის სახელმწიფოსთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, საფრანგეთსა და ბულგარეთთან.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“- შეთანხმებას ხელი მოეწერა 2020 წლის 6 თებერვალს, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება დაიწყო 2021 წლის 15 თებერვლიდან, როდესაც გაიხსნა რეგისტრაცია, ხსენებული შეთანხმების ფარგლებში დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქეებისათვის. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე სულ წარმატებით დარეგისტრირდა საქართველოს 98 810 მოქალაქე. როგორც ცნობილია, შეჯერებული პროცედურის თანახმად, საქართველოს მხრიდან მიწოდებული განაცხადების საფუძველზე, კანდიდატებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გერმანელი დამსაქმებელი. შეთანხმების ფარგლებში დასაქმების მიზნით პირველი ჯგუფი გაემგზავრა 2021 წლის 14 აპრილს და დღეის მდგომარეობით სულ დასაქმდა 299 პირი. როგორც ქართული, ასევე გერმანული მხარის შესაბამისი უწყებების მხრიდან ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიება, ამა თუ იმ პრაქტიკული პროცესების სრულყოფის მიზნით.

2020 წლის 30 სექტემბერს, საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, „ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს

მოქალაქეების დროებითი დასაქმების შესახებ“, 2020 წლის 1 ოქტომბერს კი გაფორმდა საიმპლემენტაციო ოქმი. შეთანხმების ფარგლებში დასაქმების მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა შესაბამის ელექტრონულ პორტალზე დაიწყო 2021 წლის 12 აპრილიდან, 2021 წლის 9 დეკემბრის მონაცემებით კი რეგისტრაცია წარმატებით გაიარა 1 582-მა პირმა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დამხმარე მუშაკის პოზიციაზე დასაქმებას. მხარეებს შორის ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა შერჩევის პროცესი, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს შერჩევის რამდენიმე ეტაპიან საფეხურს. მხარეები ასევე გეგმავენ ცალკეულ ნაბიჯებს, სამომავლოდ ამ შეთანხმების უფრო მეტად გააქტიურების მიზნით. შერჩევის პროცესში არის საქართველოს 60 მოქალაქის განაცხადი, რომელთა თაობაზე, ქართული მხარე ელოდება ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილებას მათი დასაქმების შესახებ.

„საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისათვის“ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2013 წლის 12 ნოემბერს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობით, უახლოეს მომავალში გეგმავს ზემოხსენებული შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, თუმცა შეთანხმების ფარგლებში, დღეის მდგომარეობითაც არის შესაძლებელი, რომ კონკრეტული, ხელშეკრულებით გაწერილი პროფესიის მქონე პირი დასაქმდეს საფრანგეთში გამარტივებული პროცედურებით.

ბულგარეთის რესპუბლიკასთან შეთანხმებას კი ხელი მოეწერა 2019 წლის 30 სექტემბერს ხოლო მისი საიმპლემენტაციო პროტოკოლი მხარეთა მიერ გაფორმდა 2021 წლის 30 ნოემბერს. ამ ეტაპზე მხარეებს შორის მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული შეთანხმების განხორციელებისათვის, შესაბამისი ოქმით გათვალისწინებული ტექნიკური პროცედურების შემუშავების კუთხით, რაც გულისხმობს სხვადასხვა დოკუმენტების, საკოორდინაციო კომისიის შექმნასა და სხვა დეტალებს.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ არსებულ შეთანხმებათა იმპლემენტაცია მიმდინარეობს შეუფერხებლად. ქვეყანამ უკვე მიიღო პოზიტიური გამოცდილება. ამ პროცესის მთავარი მიზანი კი არის ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება, მეტი ევროპული და წამყვანი შრომითი სტანდარტის გაცნობა ჩვენი მოქალაქეებისათვის, მათ შორის პრაქტიკულ დონეზე და ამის გადმოტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, სხვადასხვა სექტორში. სწორედ ამიტომ, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, მომავალშიც გეგმავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კოორდინაციით, კიდევ უფრო დახვეწოს დროებითი, ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი დასაქმების სქემების იმპლემენტაციის პროცესი და ასევე დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი შეთანხმებები მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკების მქონე, უპირატესად ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. გარდა ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მსგავსი სქემები ხელს უწყობს არალეგალური მიგრაციის შემცირებას და ახდენს ქვეყნიდან მოქალაქეების ხანგრძლივი ვადით ან მუდმივად გადინების პრევენციას.

7. სამომავლო გეგმები

8.1. სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება

სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტო გეგმავს დამატებითი რეგიონულ ცენტრის გახსნას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება: ახალი შტატგარეშე თანამშრომლის (დასაქმების კონსულტანტების) დამატება თბილისის საქალაქო ცენტრებში, ასევე რეგიონული ოფისები უნდა გაიხსნას მცხეთაში, ახალციხესა და ამბროლაურში. გარდა ამისა, გაფართოვდება და განვითარდება სააგენტოს რეგიონული ცენტრები დანარჩენ 7 რეგიონში.

ასევე, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფთან ერთად სააგენტო მუშაობს სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმაზე და სამინისტროსთან ერთად ამუშავებს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმას.

8.2 სააგენტო მუშაობს განახლებული შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (LMIMS) შექმნაზე.

ამ ეტაპისთვის დასრულებულია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ტექნიკურ მახასიათებლებზე, არქიტექტურაზე და დიზაინზე (ToR) მუშაობა. ToR-ზე დაყრდნობით შეიქმნება ახალი, გაძლიერებული შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა.

8.3. თანამშრომლობა აჭარის დასაქმების სააგენტოსთან

თანამშრომლობის მიზანია ა(ა)იპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს საქმიანობის პროცესში ა(ა)იპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ახალი სერვის მოდელისა და ცირკულარული შრომითი მიგრაციის სქემის დანერგვა.

8.4. სამოქალაქო სექტორთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა

გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან და რამდენიმე მუნიციპალიტეტთან. სააგენტო განაგრძობს მუშაობას მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით.